საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-589

25/06/2019

ქ. თბილისი

„შპს „გიო და კომპანიის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 აპრილის №2-299 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2019 წლის 1 მაისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „გიო და კომპანიის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

2002 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მაწისის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაზე გაცემულია №12 (16.04.2002) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „ბლექგოლდს“, ხოლო 2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-731 ბრძანების საფუძველზე შპს „ბლექგოლდისგან“ გადაეცა შპს „გიო და კომპანიას“.

2019 წლის 2 აპრილს კომპანიის მომართვისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „გიო და კომპანიის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო აღარ არსებობს და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გიო და კომპანიის“ განცხადების, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გიო და კომპანიის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 აპრილის №2-299 ბრძანება;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 16 აპრილს გაცემული №12 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გიო და კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გიო და კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი